ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა
ფაკულტეტი

გ ზ ა მ კ ვ ლ ე ვ ი

ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის

2023-2024 სასწავლო წელი

ოკუპაციური თერაპია პიროვნებაზე ორიენტირებული პროფესიაა, რომელიც ხელს უწყობს განსხვავებული შესაძლებლობის მქონე პირებს ანდა მოწყვლად ჯგუფებს, ჩაებან მათთვის მნიშვნელოვან საქმიანობებში და მოახდინონ საკუთარი თავის რეალიზება. ამ მიზანს ოკუპაციური თერაპევტები, ერთი მხრივ, პიროვნების უნარების გაუმჯობესების ხელშეწყობით, ხოლო, მეორე მხრივ, გარემოსა და საქმიანობის მორგების, ადაპტაციის გზით აღწევენ, რათა საბოლოოდ ადამიანმა მისთვის საჭირო და სასურველი ყოველდღიური აქტივობების შესრულება, სრულფასოვნად ცხოვრება და ფუნქციონირება შეძლოს *(World Federation of Occupational Therapists, 2012).*

საქართველოში ოკუპაციური თერაპიის პროფესიის დანერგვა 2001 წლიდან დაიწყო. საქართველოში ოკუპაციური თერაპევტები და პროგრამის მასწავლებლები ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ოკუპაციური თერაპიის უმაღლესი განათლების ევროპული ქსელის *(ENOTHE)* მხარდაჭერით მომზადნენ.

2006 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა პირველი მიღება გამოცხადდა. მას შემდეგ დღემდე თსუ ერთადერთი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ქვეყანას ოკუპაციურ თერაპევტებს უმზადებს.

პროგრამა აკრედიტებულია როგორც საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, ასევე 2016 წელს ოკუპაციურ თერაპევტთა მსოფლიო ფედერაციის *(WFOT)* მიერ, როგორც მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი განათლების პროგრამა.

ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია

კომპეტენტური პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევისა და დამოკიდებულების მქონე ოკუპაციური თერაპევტების მომზადება, რომლებიც იმუშავებენ ოკუპაციური თერაპიის პრაქტიკის ნებისმიერ სფეროში მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომისა და პროფესიული ეთიკის დაცვით.

პროგრამის შესახებ

პროგრამა აგებულია დარგის საერთაშორისო მოთხოვნებისა და ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით. 4 წლის მანძილზე სტუდენტი სწავლობს ოკუპაციურ თერაპიაში, ოკუპაციურ

მეცნიერებასა და მომიჯნავე დარგებში (ფსიქოლოგია, მედიცინა, განათლება, სოციოლოგია) დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას. პროგრამის ფარგლებში სტუდენტი სწავლის დასაწყისშივე დარგის შესახებ იღებს როგორც თეორიულ ცოდნას, ისე ლაბორატორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებას. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ოკუპაციური თერაპიის თეორიებს, პრაქტიკის პროცესის მიმდინარეობას ბავშვებთან, ზრდასრულებთან, ხანდაზმულებთან, მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობისას.

სასწავლო პროცესი აგებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიაზე და მოიცავს მრავალფეროვან ინდივიდუალურ, წყვილებში და ჯგუფურ დავალებებზე მუშაობას. ინტერაქტიური ლექცია პრეზენტაციის მრავალფეროვანი გზების გამოყენებით, პროფესიული ლიტერატურის დამუშავება, პრობლემაზე, პროექტზე და პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს სტუდენტს წარმართოს საკუთარი სასწავლო პროცესი და დაეუფლოს დარგის შესაბამის კომპეტენციებს. სწავლის პროცესში სტუდენტს მხარდაჭერას უწევს მენტორი, რომელიც ეხმარება მას ინდივიდუალური სასწავლო მიზნების დასახვაში, სასურველი გამოცდილებისა და რესურსების მოძიებაში, თვითკრიტიკული უნარ-ჩვევის გამომუშავებაში.

მართალია, პროგრამა ძირითადად დაკომპლექტებულია სავალდებულო სასწავლო კურსებით და არჩევითი კურსების ხვედრითი წილი პროგრამაში მცირეა (სულ 6 ECTS), სწავლის ბოლო წელს სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, საკუთარი ინტერესის მიხედვით აარჩიოს ის სფერო, ადამიანთა ჯგუფი/თემი თუ ორგანიზაცია, რომელთან თანამშრომლობითაც განახორციელებს პროფესიულ პროექტს მასწავლებლებისა და სხვა სტუდენტების მხარდაჭერით. პროგრამის დასრულებისას სტუდენტი შეძენილი კომპეტენციებისა და გამოცდილების შესახებ ფლობს მდიდარ მასალასა და მტკიცებულებას, რომლებიც ორგანიზებული აქვს საკუთარ პროფესიულ პროტფოლიოში.

სასწავლო რესურსები

სწავლის პროცესში სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზებითა და ბიბლიოთეკებით. 2019 წლიდან თსუ მე-3 კორპუსის ბიბლიოთეკაში განთავსებულია ოკუპაციური თერაპიის პროფესიული ლიტერატურა, მათ შორის საქართველოს ოკუპაციურ თერაპევტთა ასოციაციის მიერ თსუ-სთვის გადაცემული წიგნები.

პროგრამის პარტნიორები

პროგრამას პარტნიორობას უწევენ შემდეგი ორგანიზაციები:

- ოკუპაციური თერაპიის ევროპული ქსელი უმაღლეს განათლებაში (ENOTHE), რომლის წევრიც არის თსუ;
- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უწყებები: სოციალური მომსახურების სააგენტო; ადამიანით ვაჭრობის, მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;
- მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის ცენტრი;
- ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი";
- შპს კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა;
- მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის (მაკ ჯორჯია).

სტუდენტური კლუბი - Mini SPOT საქართველო

ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების მიერ შექმნილი გაერთიანება, რომელიც ევროპის ოკუპაციური თერაპიის სტუდენტური პლატფორმის (SPOTeurope) წევრია. პლატფორმის მიზანია ოკუპაციური თერაპიის პროგრამის სტუდენტთა დაკავშირება ევროპის მასშტაბით და ოკუპაციური თერაპიის განათლების განვითარებაში სტუდენტური წვლილის შეტანა, გამოცდილებების, შესაძლებლობებისა და იდეების გაზიარება.

Mini SPOT საქართველო ღიაა სხვა ფაკულტეტისა თუ პროგრამის სტუდენტებთან თანამშრომლობისათვის და მიზნად ისახავს იმ პროექტებზე მუშაობას, რომლებიც ხელს უწყობს:

- ოკუპაციური თერაპიის დარგის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას;
- სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტების მიერ ერთმანეთის გაძლიერებას;
- ოკუპაციური თერაპიის განათლების განვითარებას;
- სხვადასხვა ქვეყნის ოკუპაციური თერაპიის სტუდენტების კავშირების გამყარებას.

2017 წელს საერთაშორისო სტუდენტური პროექტით სტუდენტებმა საქართველო ხორვატიაში წარადგინეს, 2018 წელს კი პორტუგალიაში გამართულ კონფერენციაზე მიიღეს მონაწილეობა. 2019 წელს სტუდენტები საკუთარი ნაშრომების პრეზენტაციით საბერძნეთს ესტუმრნენ. 2022 წლის ოქტომბერში სტუდენტური კლუბის წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ოკუპაციური თერაპიის საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზებაში, რომელიც თბილისში გაიმართა და რომელსაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობდა. 2023 წელს სტუდენტთა ჯგუფი პრეზენტაციებით ესპანეთს ესტუმრება.

სწავლის დაფინანსების შესაძლებლობა

2023-2024 აკადემიური წლიდან, მინიმუმ ოთხი წლის განმავლობაში **მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისთვის (მაკ ჯორჯია)** ყოველწლიურად სწავლის საფასურს დაუფინანსებს ოკუპაციური თერაპიის პროგრამის სამ სტუდენტს.

პირველსემესტრელები დაფინანსებისთვის შეირჩევიან ეროვნულ გამოცდაზე მიღებული სარეიტინგო ქულების საფუძველზე.

პირველსემესტრელთა დაფინანსების აუცილებელი პირობაა, რომ სტუდენტს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამა მონიშნული ჰქონდეს პირველ პრიორიტეტად.

თანაბარი ქულების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭებათ სტუდენტებს, რომლებსაც საშუალო სკოლა რეგიონში აქვთ დამთავრებული.

სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე:

https://www.tsu.ge

ასევე, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში
და

სტუდენტთა მომსახურების ცენტრში

ჭავჭავაძის გამზ. 11, თსუ III კორპუსი, ოთახი 107 და 110

ცხელი ხაზი: 2250484

ელ-ფოსტა: pes@tsu.ge

უშუალოდ ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორს შეგიძლიათ მიმართოთ ამ საკონტაქტო მონაცემებით: 577 44 87 19;
nino.rukhadze.m@TSU.ge; https://www.facebook.com/OTatTSU

სტუდენტურ კლუბთან დასაკავშირებლად მიმართეთ mini SPOT საქართველოს:
https://www.facebook.com/profile.php?id=100085565118879